

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა 1 შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე,
მოქალაქე თეა ბიბინეიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ნიკეას ქუჩის 1 შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თეა ბიბინეიშვილის განცხადება /2013 წ. 20.05 Nბ-5720/ რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა 1 შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N43 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, ნიკეას ქუჩა 1 შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თეა ბიბინეიშვილს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა 1 შესახვევი N11 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე /საერთო ფართობი 81.79 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 47.22 კვ.მ. დამხმარე ფართობი 28.63 კვ.მ./ მოქალაქე თეა ბიბინეიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე